

1. საბაკალავრო პროგრამის დასახელება: ბეობრაფია (GEOGRAPHY)

მოდულები:

- ა) ფიზიკური გეოგრაფია, ნიადაგმცოდნეობა და გარემოს დაცვა (Physical Geography, Soil Science and Environment)
- ბ) ქვეყანათმცოდნეობა და საქართველოს გეოგრაფია (Regional Geography and Geography of Georgia)
- გ) გეომორფოლოგია-გეოეკოლოგია და კარტოგრაფია-გეოინფორმატიკა (Geomorphology-Geoecology and Cartography-Geoinformation)
- დ) ჰიდრომეტეოროლოგია (Hydrometeorology)

2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ბაკალავრი (გეოგრაფია)
Bachelor of Science in Geography (BSc., Geography)

3. საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი:

ლია მაჭავარიანი, გეოგრაფიის მეცნ. დოქტორი, თსუ ასოც. პროფესორი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვისა და სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსი სპეციალისტი

4. ძირითადი სპეციალობის (major) არჩევანი – ძირითადი სპეციალობის არჩევის ოპტიმალური პერიოდია II სემესტრი.

5. სწავლის გაგრძელების საშუალება – ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს საშუალება ექნება სწავლა გააგრძელოს მაგისტრატურაში შემდეგი გეოგრაფიული მიმართულებებით: “ფიზიკური გეოგრაფია, ნიადაგური რესურსები და გარემოს მდგრადი განვითარება”, “რეგიონული გეოგრაფია და ლანდშაფტური დაგეგმარება”, “გეომორფოლოგია-გეოეკოლოგია და კარტოგრაფია-გეოინფორმატიკა”, “წყლის რესურსები, მეტეოროლოგიური პროცესებისა და სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვა” და სხვა საბუნებისმეტყველო დარგების მიმართულებებით, ასევე ფაკულტეტთაშორის სამაგისტრო პროგრამაზე "მიწათსარგებლობა და მიწის მენეჯმენტი" (სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტთან ერთობლივად).

6. საბაკალავრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

ა. საბაკალავრო პროგრამის მოდულის – “ფიზიკური გეობრაზია, ნიადაგმცოდნეობა და ბარემოს დაცვა” საკვალიფიკაციო დახასიათება:

მიზანი – საბაკალავრო მოდულის მიზანია სტუდენტს შეუქმნას ზოგადგეოგრაფიული საფუძველი, რაც თავის მხრივ გულისხმობს; ბუნების კომპონენტებისა და ელემენტების რთულ ურთიერთობათა სრულფასოვან წარმოდგენას, მათი კავშირების დანახვას და მისგან გამომდინარე მოვლენების ზოგადგეოგრაფიული კანონების შეცნობას, გეოგრაფიული გარსის აგებულების, განვითარების და ტერიტორიული დიფერენციაციის შემეცნებას. ბუნებრივი მოვლენებისა და პროცესების სრულფასოვანი აღქმა და პროგნოზირება ბუნების შენარჩუნების, გაუმჯობესების და რაც მთავარია რაციონალური ბუნებათსარგებლობის აუცილებელი პირობაა. ბუნებრივი მოვლენების მართვის ამოცანების გადაწყვეტა, რომლებიც მიმართულია ბუნებრივი რესურსებით საზოგადოების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისა და გარემოს მდგომარეობის ოპტიმიზაციის მისაღწევად, მოითხოვს ფიზიკურ გეოგრაფიული (ლანდშაფტური) მონიტორინგის განხორციელებას, რაც ბუნებრივი გარემოს, როგორც სისტემის კომპლექსური შესწავლით არის შესაძლებელი. ბუნება თვით არის კომპლექსი (რელიეფი, ჰავა, შიდა წყლები, ორგანული სამყარო და ა.შ.) და მის კვლევას ფიზიურ-გეოგრაფიული (კომპლექსური) მიდგომა ესაჭიროება, სწორედ ამით განსხვავდება ფიზიკურ-გეოგრაფიული კვლევა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დარგების კვლევებისაგან. XX – XXI საუკუნეთა მიჯნაზე ფიზიკურ-გეოგრაფიული მეცნიერების წინაშე დგას კაცობრიობის უმნიშვნელოვანესი პრობლემები, რომელთა შორისაა; დედამიწის ბუნებრივი რესურსების კონსერვირების დისტანციური კვლევის მიღწევა; გამაფრებელი ეკოლოგიური პრობლემების მოგვარება; გააქტიურებული სტიქიურ-კატასტროფული მოვლენების სისტემური შესწავლა და ბუნებრივი პროცესების რეგულირება-მართვის მექანიზმების შემუშავება. აღნიშნულ პრობლემათა გადაწყვეტა მოითხოვს ბუნებრივი მოვლენების შესახებ ინფორმაციის მიღების მეთოდებისა და ხერხების სრულყოფას, თეორიული განზოგადებისა და პროგნოზირების მიდგომების კონსტრუქციულ გაუმჯობესებას. ნიადაგი ფიზიკურ გეოგრაფიული კომპლექსის ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტია, რომელიც განსაკუთრებით თვალსაჩინოდ აფიქსირებს თავის სტრუქტურაში სხვა კომპონენტების ზემოქმედებასა და ურთიერთკავშირს. ამრიგად, საბაკალავრო პროგრამის – ფიზიკური გეოგრაფია და ნიადაგმცოდნეობა ერთობლიობაში წარმოდგენა მეცნიერულადაც გამართლებულია. იგი ხელს შეუწყობს სწავლების პირველ საფეხურზე სტუდენტს ზოგადგეოგრაფიული საფუძვლების მომზადებასა და ცოდნის შექმნაში, რაც თავის მხრივ საუნივერსიტეტო სწავლების მეორე საფეხურზე (მაგისტრატურაში) სწავლის გაგრძელების წინა პირობას შექმნის.

სწავლის შედეგი – მოდულის გაკლის შემდეგ სტუდენტი შეიძენს ცოდნას საბუნებისმეტყველო გეოგრაფიულ მეცნიერებათა სისტემის იმ დარგების შესახებ, რომლებიც სწავლობენ გეოგრაფიული გარსის სტრუქტურულ ელემენტებს და მის ცალკეულ კომპონენტებს. განსაკუთრებით კი ნიადაგებსა და მათ როლზე ლანდშაფტების ფორმირებაში. სტუდენტს ჩამოუყალიბდება უნარ-ჩვევები ბუნებრივ გარემოში მიმდინარე მოვლენებსა და პროცესებზე, სივრცესა და დროში მათი გავრცელების კანონზომიერებებზე, რაც საბოლოო ჯამში შექმნის საფუძველს მაღალ საფეხურზე (მაგისტრატურაში) სწავლის გაგრძელების.

დასაქმების სფეროები:

- დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტები;
- პედაგოგიური სასწავლებლები (კოლეჯი, ლიცეუმი, უმაღლესი სკოლა);
- ტურისტული სააგენტოები;
- კარტოგრაფიის დეპარტამენტი;
- დაცული ტერიტორიების სისტემა;
- მუნიციპალური სამსახური;
- კადასტრისა და მიწის რეგისტრაციის პროექტი ფჭ თანადაფინანსებით;
- სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნიადაგის ნაყოფიერების სამსახური;
- გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო;
- სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი;
- იუსტიციის მიწის რეგისტრაციის სამსახური.

ბ. საბაკალავრო პროგრამის მოდულის – “ქვეყანათმცოდნეობა და საქართველოს გეოგრაფია” საკვალიფიკაციო დახასიათება:

• მიზანი – საბაკალავრო მოდულის მიზანია:

- მოამზადოს საქართველოს გეოგრაფიის სპეციალისტები, მიღებული კვალიფიკაცია მათ შესაძლებლობას მისცემს მოახდინონ გეოგრაფიული ცოდნის ინტეგრირება და გამოყენება მაგისტრატურაში სწავლისას ან საზოგადოებრივი საქმიანობის სფეროებში;
- სტუდენტებში გლობალური, რეგიონული და ლოკალური პრობლემების გააზრების უნარის გამომუშავება, რომლებიც შექმნილია პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, დემოგრაფიულ თუ ეკოლოგიურ ჭრილში პრობლემების განხილვას და მათზე ადეკვატური რეაგირების მოხდენას ინტეგრირებული, კომპლექსური მიდგომების საფუძველზე;
- განათლების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, ერთიანი გეოგრაფიული მიდგომისა და მეთოდის საფუძველზე (საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ, აგრეთვე ტექნიკური (გეოინფორმატიკის სახით) დარგების სწავლება);
- ახალი ტექნოლოგიების სწავლება, ოპერატიული რუკების სერვისის შექმნა, გეოგრაფიულ (ბუნებრივ, რესურსულ, ეკონომიკურ, სოციალურ, ეკოლოგიურ) მონაცემთა ინვენტარიზაცია, ანალიზი და სინთეზი, გეოგრაფიული მოდელირება, პროგნოზი, ტერიტორიული დაგეგმარება და მართვა;
- საქართველოს ან მისი ცალკეული რეგიონის გეოინფორმაციული სისტემების შექმნა;
- საქართველოს კომპლექსურ-გეოგრაფიული თვალსაზრისით წარმოჩენა და მისი როგორც კავკასიის რეგიონისა და მსოფლიოს შემადგენელი ნაწილის გაანალიზება.

სწავლის შედეგი – მოდულის დასრულების შემდეგ ბაკალავრი შეძლებს:

- სავლელ და კამერალური კვლევების შედეგად მიღებული ცოდნის სხვადასხვა სამეცნიერო და პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარებას;
- გარემოსა და საზოგადოების ურთიერთკავშირის შედეგად წარმოქმნილი სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, გეოეკოლოგიური პროცესებისა და პრობლემების ერთიან გააზრებასა და სიდრმისეულ გაცნობიერებას;
- აქტუალური სამეცნიერო და პრაქტიკული პრობლემების გლობალურ, რეგიონულ და ლოკალურ დონეებზე წარმოჩენის, კვლევისა და მისი გადაჭრის უნარ-ჩვევების გამომუშავებას;
- ეკოლოგიურად ორიენტირებული ტერიტორიული დაგეგმარების პრინციპებისა და უნარ-ჩვევების გამომუშავებას;
- დისტანციური ზონდირებისა და გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემების შექმნისა და ოპერირების ჩვევების დაუფლებას;
- ტერიტორიის რესურსული პოტენციალის მონაცემთა ბაზებისა და საკადასტრო სისტემების შექმნის უნარის გამომუშავებას;
- სამეცნიერო კვლევების, კრიტიკული აზროვნების, გეოეკოლოგიური პროგნოზის, მდგრადი რეგიონული განვითარების პრინციპების განსაზღვრისა და გადაწყვეტილების მიღების უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

დასაქმების სფეროები:

- სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციები;
- ქართული ენციკლოპედია;
- სასწავლო ორგანიზაციები (სკოლები, კოლეჯები, უმაღლესი სასწავლებლები);
- კარტოგრაფიული და სხვა საგამომცემლო ორგანიზაციები;
- დისტანციური ზონდირებისა და გეოინფორმაციული სისტემების ორგანიზაციები;
- ტურისტული სააგენტოები;
- ლოკალური, რეგიონული და საერთაშორისო გეოეკოლოგიური პროგრამები (პროექტები).

- რესურსების გამოყენებისა და სოციალურ-ეკონომიკური პროცესების დაგეგმარებისა და მართვის ორგანიზაციები (გარემოს დაცვის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, ეკონომიკის, თავდაცვის სამინისტროები, სატყეო, მიწათმოქმედებისა და კადასტრის დეპარტამენტი);
- დიპლომატიური და სხვა ორგანიზაციები.
- სხვადასხვა სახის სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციები.

გ. საბაკალავრო პროგრამის მოდულის – “გეომორფოლოგია-გეოეკოლოგია და კარტოგრაფია-გეოინფორმატიკა” საკვალიფიკაციო დახასიათება:

- **მიზანი** – საბაკალავრო მოდულის მიზანია: მოამზადოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები კარტოგრაფია-გეოინფორმატიკის და გეომორფოლოგია-გეოეკოლოგიის პროფილით. აღნიშნული მიმართულებების კვლევის ობიექტებს შესაბამისად რელიეფი (მორფომეტრია, მორფოგრაფია, მორფოლოგია), მათში მიმდინარე ბუნებრივ-გეოდინამიკური, კატასტროფული და ანთროპოგენური პროცესები და ობიექტური სინამდვილის საგნებისა და მოვლენების კონკრეტული სივრცე და მისი დროული ცვალებადობა წარმოადგენს. ბაკალავრები შეისწავლიან რელიეფში მიმდინარე ბუნებრივი პროცესების თეორიულ-და პრაქტიკულ ასპექტებს, რის შედეგადაც შეეძლება განსაზღვრონ რელიეფზე მიმდინარე გეოეკოლოგიურად საშიში პროცესების ცვლადობა, რისკ-ფაქტორები და პროგნოზი. დაეუფლებიან ყველა სახის კარტოგრაფიული გამოსახულების (რუკა, ატლასი, კარტოგრამა, კარტოდიაგრამა, ანიმაციური გამოსახულება, დისპლეიფილმი, კარტოგრაფიული ფილმი) კითხვისა და ანალიზის უნარ-ჩვევებს შეეძლება ლოკალური გეოინფორმაციული და ექსპერტული სისტემების ანალიზი.
- **სწავლის შედეგი** – მოდულის დასრულების შემდეგ ბაკალავრი შეძლებს: საველე პირობებში რელიეფის სხვადასხვა ფორმების კომპლექსურად შესწავლას, მოფრომეტრიული და მორფოლოგიური კვლევის ჩატარებას, საშიში პროცესების, რისკ-ფაქტორების დადგენასა და პროგნოზირებას. უახლესი ტექნოლოგიებისა და გეოინფორმაციული სისტემების გამოყენებით. გამოიმუშავენ საინჟინრო-გეომორფოლოგიური რეკომენდაციების დასკვნების გაკეთების უნარ-ჩვევებს სხვადასხვა სახის საპროექტო სამუშაოებში. ბაკალავრს შეეძლება დამოუკიდებლად ჩატაროს ყველა სახის კარტომეტრიული სამუშაოები, ასევე დაეუფლება გეოინფორმაციული სისტემების შედგენისა და გამოყენების უნარ-ჩვევებს, საველე-ტოპოგრაფიული აგეგმვებისა და ლანდშაფტური კარტოგრაფირების თავისებურებებს. შეიძენენ ზოგადგეოგრაფიული და თემატური რუკების შედგენის უნარ-ჩვევებს. დაეუფლებიან კარტოგრაფიულ და გეოინფორმაციულ დიზაინს და კარტოგრაფიული პროდუქციის გაფორმების ტექნოლოგიებს. შეისწავლიან კარტოგრაფიული წარმოების მენეჯმენტთან დაკავშირებულ საკითხებს.
- **დასაქმების სფეროები:**
 - საკადასტრო სამსახური
 - სასაზღვრო ჯარების დეპარტამენტი
 - პედაგოგიური დაწესებულებები
 - გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
 - გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციები (WWF, GRID, GEOGRAFIC და ა.შ.)
 - ტურისტული სააგენტოები
 - დაცული ტერიტორიების სისტემა
 - სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო დაწესებულებები და უწყებები
 - ქალაქების გარემოსდაცვითი და ბინათმშენებლობის სამსახურები

დ. საბაკალავრო პროგრამის მოდულის – “ჰიდრომეტეოროლოგია, ატმოსფეროსა და ჰიდროსფეროს ეკოლოგია” საკვალიფიკაციო დახასიათება:

• მიზანი – საბაკალავრო მოდულის მიზანია:

- მოამზადოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები მეტეოროლოგიის, კლიმატოლოგიის, ჰიდროლოგიის და ოკეანოლოგიის დარგში. ამ მიმართულებების კვლევის ობიექტებია ატმოსფერო და ჰიდროსფერო. ამიტომ ბაკალავრები შეისწავლიან ატმოსფეროსა და ჰიდროსფეროს აღნაგობას და შედგენილობას, მათში მიმდინარე პროცესებს რელიეფთან და ბუნების სხვა კომპონენტებთან კავშირში, მათზე ანთროპოგენურ ზემოქმედებას და თანამედროვე ეკოლოგიურ პრობლემებს – კლიმატის ცვლილება, გაუდაბნობა, ევსტაზია, ეროზია, ატმოსფეროს და ჰიდროსფეროს დაბინძურება და სხვა.
- გაეცნობიან ზღვის სანაპირო ზონის განაშენიანების მარეგულირებელი რეკომენდაციების შემუშავების მეთოდებს გარემოსდაცვითი სტრატეგიის პრინციპების გათვალისწინებით თანამედროვე კლიმატის ცვლილებისა და ანთროპოგენული ზემოქმედების პირობებში.
- დაეუფლებიან ჰიდრომეტეოროლოგიურ მოვლენებზე დაკვირვებათა ხელსაწყოებს და დაკვირვებათა შედეგად მიღებული ინფორმაციის დამუშავების თანამედროვე მეთოდებს, ატმოსფერული პროცესების სინოპტიკურ ანალიზს, ამინდის ანალიზისა და რიცხვითი პროგნოზირების მეთოდებს, ჰიდროლოგიურ პროგნოზებს, კლიმატური რესურსების და სტიქიური მოვლენების, კლიმატის ცვლილების შეფასების და პროგნოზის მეთოდებს, კლიმატის ცვლილების გაგენის შეფასებას ჰიდრორესურსებზე (წყლის რესურსებზე), და საშიში ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების (თავსხმა ნალექები, ზვავები, წყალდიდობები, წყალმოვარდნები, გვალვები, მეწყერები, ღვარცოფები, გრივალური ქარები, შტორმები, ნისლი, წაყივები და ა.შ) გააქტიურებაზე, გაეცნობიან მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის გლობალური კლიმატის ცვლილების სცენარებს, დაამუშავებენ კლიმატის ცვლილების რეგიონულ სცენარებს და შეაფასებენ მათ მოსალოდნელ გავლენას ეკოსისტემებზე.

• სწავლის შედეგი: მოდულის დასრულების შემდეგ ბაკალავრი შეიძენს ცოდნას ატმოსფეროს და ჰიდროსფეროს აგებულების, მასში მიმდინარე პროცესების და მათი ეკოლოგიური პრობლემების შესახებ. მას ჩამოუყალიბდება უნარ-ჩვევები ატმოსფეროსა და ჰიდროსფეროში მიმდინარე მოვლენებსა და პროცესებზე, სივრცესა და დროში მათი ცვლილების შესახებ, ასევე ნაპირების სტაბილიზაციის, პლაჟების რეაბილიტაციის, და ტერიტორიული განვითარების ოპტიმალური პროგრამების პრინციპებზე. შეიძენს ცოდნას ჰიდრომეტეოროლოგიურ სადგურებზე დაკვირვებათა ჩატარების და შედეგების თანამედროვე დონეზე ანალიზის შესახებ.

• დასაქმების სფეროები:

- საპროექტო და საამშენებლო ორგანიზაციები
- საჰაერო და საზღვაო პორტები და ნავსადგურები
- გარემოსდაცვითი, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის ორგანიზაციები
- ჰიდრომეტეოროლოგიური ორგანიზაციები
- სამეცნიერო – კვლევითი სექტორი
- წყლის მეურნეობის ინდუსტრია.

7. საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა (დანართი I, II)

8. მოდულების / საგნების სილაბუსები (დანართი III)

9. მოდულების / საგნების ანოტაციები (დანართი IV)

**დამატებითი სპეციალობის საბაკალავრო პროგრამის დასახელება –
ბეობრაზია (Minor in GEOGRAPHY)**

საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი / კოორდინატორი:

ლია მაჭავარიანი, გეოგრაფიის მეცნ. დოქტორი, თსუ ასოც. პროფესორი, ზუსტ და საბუნებიაშეყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვისა და სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსი სპეციალისტი

დამატებითი სპეციალობის საბაკალავრო პროგრამის “ბეობრაზია” (Minor in Geography) საკვალიფიკაციო დახასიათება:

- **მიზანი** – საბაკალავრო პროგრამის მიზანია არაგეოგრაფიული სპეციალობის სტუდენტებს შეუქმნას ზოგადგეოგრაფიული საფუძველი, რაც გულისხმობს: ბუნების კომპონენტებსა და ელემენტებს შორის კავშირების დანახვასა და მისგან გამომდინარე მოვლენების ზოგადგეოგრაფიული კანონების შეცნობას; გეოგრაფიული გარსის აგებულების, განვითარებისა და ტერიტორიული დიფერენციაციის შემეცნებას; ბუნებრივი მოვლენებისა და პროცესების აღქმასა და პროგნოზირებას; ბუნებრივი მოვლენების მართვის ამოცანების დასახვას. პროგრამის გავლის შემდეგ სტუდენტებს ზოგადი წაარმოდგენა შეექმნებათ ასევე ჰიდრო- და მეტეოროლოგიურ პრცესებსა და მოვლენებზე.
- **სწავლის შედეგი** – საბაკალავრო პროგრამის გავლის შემდეგ სტუდენტი შეიძენს ცოდნას გეოგრაფიულ მეცნიერებათა სისტემის იმ დარგების შესახებ, რომლებიც სწავლობენ გეოგრაფიული გარსის სტრუქტურულ ელემენტებსა და ცალკეულ კომპონენტებს. სტუდენტები შეძლებენ: მიღებული ცოდნის სხვადასხვა სამეცნიერო და პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენებას; ტერიტორიის რესურსული პოტენციალის მონაცემთა ბაზებისა და საკადასტრო სისტემების შექმნის უნარის გამოუმუშავებას; გეოგრაფიული პროგრამის გავლის შემდეგ სტუდენტებს სივრცობრივი აზროვნების უნარი გამოუმუშავდებათ; შეძლებენ გლობალური, რეგიონული და ლოკალური გეოგრაფიული და გეოეკოლოგიური პრობლემების არსის გააზრებას, განხილვასა და მათზე ადეკვატურ რეაგირებას. რაც საბოლოო ჯამში, მაღალ საფეხურზე (მაგისტრატურაში, დოქტორანტურაში) სწავლის გაგრძელების მყარ საფუძველს შექმნის.

დასაქმების სფეროები:

- დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა დარგების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტიტები;
- დაცული ტერიტორიების სისტემა;
- სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი;
- საკადასტრო სამსახური;
- სასაზღვრო ჯარების დეპარტამენტი;
- გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციები (WWF, GRID, GEOGRAFIC და ა. შ.);
- ტურისტული საგენტოები;
- მუნიციპალური სამსახური;
- კარტოგრაფიული და სხვა საგამომცემლო ორგანიზაციები;
- რესურსების გამოყენებისა და სოციალურ-ეკონომიკური პროცესების დაგეგმარებისა და მართვის ორგანიზაციები (გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, ეკონომიკის, თავდაცვის სამინისტროები, სატყეო დეპარტამენტი, მიწათმოწყობისა და კადასტრის დეპარტამენტი);
- საპროექტო და საამშენებლო ორგანიზაციები;
- ჰიდრომეტეოროლოგიური ორგანიზაციები და წყლის მეურნეობის ინდუსტრია;
- სხვადასხვა სახის სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციები;
- ლოკალური, რეგიონული და საერთაშორისო გეოეკოლოგიური და სხვა სახის პროგრამები (პროექტები).

სწავლის გაგრძელების საშუალება – საბაკალავრო პროგრამის გაყვლის შემდეგ კურსდამთავრებულს საშუალება ექნება სწავლა გააგრძელოს მაგისტრატურაში შემდეგი გეოგრაფიული მიმართულებებით: “ფიზიკური გეოგრაფია, ნიადაგური რესურსები და გარემოს მდგრადი განვითარება”, “რეგიონული გეოგრაფია და ლანდშაფტური დაგეგმარება”, “გეომორფოლოგია-გეოეკოლოგია და კარტოგრაფია-გეოინფორმატიკა”, “წყლის რესურსების, მეტეოროლოგიური პროცესებისა და სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვა” და სხვა საბუნებისმეტყველო დარგების მიმართულებებით, ასევე მომიჯნავე დარგების ფაკულტეტაშორის სამაგისტრო პროგრამებზე.

დამატებით სპეციალობაზე მიღების წინაპირობები – დამატებით სპეციალობაზე “გეოგრაფია“ შეუძლიათ შემოვიდნენ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ყველა მიმართულების (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, გეოლოგია) ბაკალავრიატის სტუდენტები, ასევე თსუ სხვა ფაკულტეტების (მათემატიკისა და კომპიუტერული მეცნიერებების, სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა, ეკონომიკისა და ბიზნესის, ჰუმანიტარული, მედიცინისა და სხვ.) სტუდენტები. გარდა ამისა, დამატებითი პროგრამა “გეოგრაფიაში“ შეიძლება გაიარონ სხვა უმაღლესი სასწავლებლების (სასაფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის, ი. ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სხვ.) ბაკალავრიატის სტუდენტებმა.

საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა – *(იხილეთ დანართი)*

დამატებითი სპეციალობის პროგრამა ბეობრაჟია (Minor in Geography)

№	საგანი // მოდული	სკ	ლ/პ/ს/ლაბ.	სმს	ECTS	ს ე მ ე ს ტ რ ე ბ ი								წინაპი- რობა
						I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
ს ა ე ა ლ დ ე ბ უ ლ ო ს ა გ ნ ე ბ ი (4 0 კ რ ე დ ი ტ ი)														
1	დედამიწისმცოდნეობა	3	2/1/0/0	125	5			5						
2	გეომორფოლოგიის საფუძვლები	3	2/1/0/0	125	5			5						
3	მეტეოროლოგია-კლიმატოლოგიის საფუძვლები	3	2/1/0/0	125	5				5					
4	ჰიდროლოგიის საფუძვლები	3	2/1/0/0	125	5				5					
5	ნიადაგმცოდნეობის საფუძვლები	3	2/1/0/0	125	5					5				
6	ლანდშაფტმცოდნეობა	3	2/1/0/0	125	5					5				
7	საქართველოს გეოგრაფია	3	2/2/0/0	150	5						5			
8	ოკეანოლოგია	3	2/1/0/0	125	5						5			
ს ს პ ე ც ი ა ლ ო ბ ი ს ა რ ჩ ე ვ ი თ ი ს ა გ ნ ე ბ ი (2 0 კ რ ე დ ი ტ ი)														
1	ფიზიკურ-გეოგრაფიული კვლევის მეთოდები	3	2/1/0/0	125	5							5		
2	ლანდშაფტების სივრცე-დროითი ანალიზი და გარემოს მონიტორინგი	3	2/1/0/0	125	5							5		
3	გამოყენებითი ნიადაგმცოდნეობა და ნიადაგური რესურსები	3	2/1/0/0	125	5								5	
4	ბუნებათსარგებლობა და გარემოს დაცვა	3	2/1/0/0	125	5								5	
5	საქართველოს გეომორფოლოგია	3	2/1/0/0	125	5							5		
6	კონტინენტებისა და ოკეანეების გეომორფოლოგია	3	2/1/0/0	125	5							5		
7	გამოყენებითი გეომორფოლოგია	3	2/1/0/0	125	5								5	
8	კარსტოლოგია და ზღვის ნაპირების გეომორფოლოგია	3	2/1/0/0	125	5								5	
9	გეოკოლოგიური პრობლემები (საქართველოს ეკოლოგიური პრობლემები; საერთაშორისო ეკოლოგიური პროექტები; საქართველოს დაცული ტერიტორიები)	3	2/1/0/0	125	5							5		
10	მდგრადი ეკოლოგიური განვითარება	3	2/1/0/0	125	5							5		
11	საქართველო და მსოფლიო	3	2/1/0/0	125	5								5	
12	საქართველოს დემოგრაფიული პრობლემები	3	2/1/0/0	125	5								5	
13	ჰიდროეკოლოგია და ატმოსფეროს ეკოლოგია	3	2/1/0/0	125	5							5		
14	ჰიდრომეტეოროლოგიური პროგნოზები	3	2/1/0/0	125	5							5		
15	ფიზიკური მეტეოროლოგია	3	2/1/0/0	125	5								5	
16	სანაპირო ზოლის ინტეგრირებული მართვა	3	2/1/0/0	125	5								5	